

THE RISK OF AN UNPOPULAR THEME AND THE OPPOSITE PERSPECTIVE IN A LITERARY TEXT

არაპოპულარული თემის რისკი და საპირისპირო რაკურსი მხატვრულ ტექსტში

Giorgi Khorbaladze

PhD in Philology, Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,
<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

Abstract. Writing has never been an easy task, and this requires no proof. However, a writer often faces not only purely professional challenges but must also navigate between the necessary and the possible. The essence and causes of such dilemmas change with time and epoch, as every era brings its own specific challenges that demand not avoidance but direct confrontation from the writer. This very principle underlies our greatest literary treasure, *The Knight in the Panther's Skin*, where the genius Rustaveli depicted two alternative realities of a single epoch and nation—transforming what had to be said into what could be said, pushing the boundaries of the impossible. The same principle guides Ilia Chavchavadze's *Is He a Man?*, in which the author was fully aware of the risk his story entailed, since people seldom enjoy facing their own flaws. Yet, the “mirror” was necessary for society, and Ilia, of all people, could not deprive his compatriots of this vital means of self-reflection. The same logic applies to Mikheil Javakhishvili's *Jago's Guests* and, more broadly, to much of Georgian literature produced during the Soviet period, where the problem of national identity had to be expressed in a way that was both intelligible to the reader and imperceptible to censorship.

For us, as researchers interested in the study of contemporary literary processes, it is particularly intriguing to examine which issues and from what perspectives are being addressed today in modern Georgian literature—especially those that are thematically unpopular or, so to speak, somewhat controversial. According to our observations, among several such issues, one of the most striking and rare is the critical reflection of national significance found in literary works dealing with the theme of war. However, by “criticism,” we do not mean solely the depiction of high-ranking figures or political processes. Rather, our focus lies on ordinary individuals—society as a co-participant in collective mistakes. This, it seems, is a far more sensitive subject, perhaps because the reader inevitably recognizes themselves within it and is troubled by the pang of shared guilt. Therefore, this is the perspective and the interpretative angle that demands reflection without exception; for even if the account of justice favors us only one time out of a thousand, that one instance must not be ignored—if, indeed, we wish literature to reach and influence the human being. Otherwise, the writer, as a kind of moral healer, leaves the reader half-cured.

Keywords: War, literature, "Shadow Theater", Giorgi Sosiashvili.

გიორგი ხორბალაძე

ფილოლოგიის დოქტორი,

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,

+ 995577955584, g.khorbaladze@gmail.com,

<https://orcid.org/0000-0003-0453-8521>

აბსტრაქტი. მწერლობა რომ ზოგადად იოლი საქმე არ არის, ამას ჩვენი მტკიცება არ სჭირდება, თუმცა, ხშირად მწერალი არა მხოლოდ წმინდა პროფესიული სირთულების წინაშე დგას, არამედ მას უწევს მოძრაობა აუცილებელსა და შესაძლებელს შორის. დილემური სიტუაციების არსი და მიზეზები იცვლება დროსა და ეპოქასთან ერთად, რადგან ყოველ ეპოქას მეტ-ნაკლებად ახლავს სპეციფიური გამოწვევები, რომელიც თავის არიდებას კი არა, პირისპირ შებმას ითხოვს მწერლისაგან. ამ პრინციპზეა აგებული ჩვენი უმთავრესი საგანძური „ვეფხისტყაოსანი“, სადაც ერთი ეპოქის, ერთი სახელმწიფოს ორი ალტერნატიული რეალობა სწორედ იმიტომ დახატა გენიალურმა რუსთველმა, რომ აუცილებლად სათქმელი შესაძლებელიც გაეხადა და შეუძლებლობის საზღვრებიდან გარეთ გამოეტაცა. იმავე პრინციპზე დგას ილიას „კაცია ადამიანი“, მწერალს ამ შემთხვევაშიც, აბსოლუტურად ესმოდა რისკი, რომელიც, მის მოთხოვნას უცილობლად თანმდევად გაუხდებოდა, რამდენადაც ადამიანებს არ უყვართ უარყოფითი მხრიდან საკუთარი თავის შეთვალეობა, მაგრამ „სარკე“ აუცილებელი იყო საზოგადოებისათვის და ვინ-ვინ და, ილია ნამდვილად ვერ დაუმაღავდა თანამომემთ თავის მოწესრიგების ამ აუცილებელ საშუალებას. იგივე პრინციპით დაიწერა მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და ინდივიდუალურ ჩამოთვლას აქ რომ დავჯერდეთ, ზოგადად, ასე იქმნებოდა საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურის უდიდესი ნაწილი, სადაც ეროვნული თვითმყოფადობის პრობლემა ისე უნდა გამოხატულიყო, რომ ტექსტი ერთდროულად მკითხველისათვის გასაგები და ცენზურისათვის თვალის ამხვევი ყოფილიყო.

ჩვენთვის, როგორც მიმდინარე ლიტერატურული პროცესების შესწავლით დაინტერესებული მკვლევრისათვის, ძალზე საინტერესოა დღეს, თანამედროვე საქართველოში და თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში რომელი საკითხები და რომელი პოზიციებიდან წერაა თემატურად არაპოპულარული, ასე ვთქვათ, გარკვეულწილად საჩოთირო. ჩვენი დაკვირვებით, რამდენიმე ამდაგვარ საკითხს შორის, ერთ-ერთი უთუოდ არის და საკმაო იშვიათობას წარმოადგენს ომის თემატიკაზე შექმნილ ტექსტებში ნაციონალური მნიშვნელობის კრიტიკული ნააზრების მოძიება. ოღონდ კრიტიკაში არ ვგულისხმობთ მარტოოდენ მაღალი რანგის ფიგურანტებს, ან პოლიტიკურ პროცესებს, ჩვენი ინტერესის საგანს უბრალო ადამიანები წარმოადგენენ, ანუ, საზოგადოება როგორც შეცდომათა თანამონაწილე, ეს კი გაცილებით უფრო საფრთხილო თემაა როგორც ჩანს, ალბათ იქიდან გამომდინარე, რომ მკითხველი უშუალოდ შეიცნობს საკუთარ თავს და თანამონაწილეობის სინდისისმქენჯნავი განცდა აწუხებს, ამდენად, ეს გახლავთ პრობლემის ის რაკურსი და ის გადასახედი, რომელიც ყოველმხიზგარეშე გასააზრებელია და თუნდაც ათასით ერთი იყოს სამართლიანობის ანგარიში ჩვენს სასარგებლოდ, არც ის ერთი უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა თუ გვსურს, რომ გავლენა და შედეგი ლიტერატურისა ადამიანამდე მივიდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მწერალი როგორც ერთგვარი ზნეობრივი მკურნალი ნახევრადმკურნალობის ამარა ტოვებს საკუთარ მკითხველს.

საკვანძო სიტყვები: ომი, ლიტერატურა, „ჩრდილების თეატრი“, გიორგი სოსიაშვილი.

ხელში, ამიტომ ჰქვია მოთხრობას ჩრდილების თეატრი, ეს არის სათაურის სიმბოლიკაც, ჩრდილების თეატრის პერსონაჟები ჩვენ გვგვანან, ჩვენ - ვისაც სხვისი ხელები უცვლის ფორმასაც და კურსსაც, სინამდვილეში „ჩრდილებად“ მოთხრობის უმოქმედო პერსონაჟები - ანუ, საზოგადოების უმრავლესობა უფრო მეტად მოიაზრება, ვიდრე ისინი ვინც მოთხრობაში ავად თუ კარგად მოქმედებენ.

საინტერესოა, რომ თავად მთავარი გმირის სახელი პირდაპირი ფორმით, თითქმის არ არის ნახსენები ტექსტში, მხოლოდ ორიოდ მონაკვეთის დაკვირვებით წაკითხვისას შეიძლება მიიღოს მკითხველმა ინფორმაცია, რომ მოთხრობელს ზაზა ჰქვია. ერთგან, როდესაც ხეზე დანით ამოკვეთილ სახელებს კითხულობს გმირი და მეორეგან, როდესაც თავის სახლში დაბრუნებული იქ მცხოვრებ ზაზასთან მისულ სტუმრად ასაღებს თავს. ამდენად, მთავარი გმირის სახელი შეიძლება ვერც კი გაიხსენოს იმ მკითხველმაც კი, ვინც ეს-ესაა დაასრულა „ჩრდილების თეატრის“ წაკითხვა, რაც მწერლის ჩანაფიქრის ნაწილია და ჩვენი აზრით, კიდევ ერთი შტრიხი სათაურის სიმბოლიკას გასაშიფრად: მთავარი გმირის სახელი ჩრდილშია მოქცეული, რადგან როდესაც საკუთარ ცხოვრებას ხელიდან გაცლიან, შენი სახელიც შენი სახელის ჩრდილია, ამასთანავე, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ ეს ფაქტორი მიუთითებს იმაზეც, რომ ზაზას ტკივილს, ზაზას გარდა კიდევ არაერთი ადამიანი დაატარებს და მასასადამე მთავარი გმირი კონკრეტულიც არის და ზოგადიც, რის გამოც მისი სახელიც ჩრდილში მოუქცევია „ჩრდილების თეატრის“ ავტორს.

გამოყენებული ლიტერატურა

სოსიაშვილი, გ. (2021). *ჩრდილების თეატრი*. მოთხრობები. გორი.

REFERENCES

sosiashvili, g. (2021). *chrdilebis teat'ri [Shadow Theater]*. Stories. Gori.